



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 214/ს
27/07/2022

214-21-4-202207271709



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურში, შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“ ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურში, ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურში, მდ. სქურჩას მარჯვენა სანაპიროზე, „ხობი 2 ჰესის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ფუჭი ქანების სანაყაროს ეროზიული პროცესებისაგან დასაცავად. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-268792.84, Y-4722661.05; X-268822.62, Y-4722568.50. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია დაახლოებით 47 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია 128 მეტრი სიგრძის გაბიონის კედლის მოწყობა, რომლის კონსტრუქცია დაფუძნებული იქნება 20 სმ სისქის ფლეთილი ქვების ლეიბზე, სამიარუსიანი კედლის სახით. კონსტრუქციისათვის გამოყენებული იქნება გაბიონის ყუთები (პარამეტრები: 1.0x1.0x1.5 მ 1.0x1.0x2.0 მ).

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. სქურჩას ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. სქურჩას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. სანაყაროს ტერიტორიამდე მდინარის სიგრძე შეადგენს 6,25 კმ-ს, საერთო ვარდნა - 530 მ-ს, საშუალო ქანობი - 85,0‰, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 7,56 კმ²-ს. სკრინინგის განცხადების თანახმად, 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 140 მ³/წმ-ს, კალაპოტის ზოგადი

გარეცხვის საშუალო სიღრმე - 2,67 მ-ს, ხოლო კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 4,30 მ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება: ექსკავატორი, დამტვირთველი და ავტოთვითმცლელი. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება არ მოხდება მდინარის აქტიურ კალაპოტში. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე გაბიონის ყუთები შემოვა გამზადებული სახით და განთავსდება მდ. სქურჩას მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ. ნაპირსამაგრი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს და დასაქმდება 7 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა, რომლის მართვა განხორციელდება „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“ „ხობი 2 ჰესის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად. ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (3 თვე) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ყოველდღიურად შემოწმდება ტექნიკის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავების გამართულობა; სამუშაოები შესრულდება ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით; შეიზღუდება ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარეები.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშებისას განისაზღვრა ხმაურის წარმომქმნელი წყაროები და მათი მახასიათებლები, შეირჩა საანგარიშო წერტილები და დადგინდა წარმოქმნილი ხმაურის გავრცელების მიმართულება. ხმაურის გავრცელების გაანგარიშება განხორციელდა ხმაურის წარმომქმნელი წყაროების ერთდროულად მუშაობის პირობებში. მიღებული შედეგების

შესაბამისად, უარესი სცენარის შემთხვევაში, გავრცელებული ხმაურის მაქსიმალური შესაძლო მაჩვენებელი შეიძლება იყოს 55 დბა. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესამცირებლად, ნაპირდაცვითი სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, გაკონტროლდება სამშენებლო სამუშაოების პროცესში გამოყენებული ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების სიჩქარეები და შეიზღუდება ხმაურის წარმომქმნელი წყაროების ერთდროულად მუშაობა. ამასთან, წარმოქმნილი ხმაურის გავრცელებას ასევე შეამცირებს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული რელიეფური პირობები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. სქურჩას და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ზომები.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საკვლევ არეალში 3-3,5 მ სიღრმეზე გაყვანილი იქნა ორი შურფი. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ არეალში გვხვდება ერთი ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე-1 წარმოდგენილია თიხნარით, მოყავისფრო-მოშავო ფერის, რბილპლასტიკური ქვიშის თხელი ლინზებით. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფუჭი ქანების სანაყაროსა და ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 820 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება, რაც განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფუჭი ქანების სანაყაროსა და გაბიონის კედლის განთავსებისათვის შერჩეული არეალი, ფლორისტული თვალსაზრისით, არ წარმოადგენს მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონე ტერიტორიას. საკვლევ არეალში გამოვლინდა საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარის მხოლოდ ერთი სახეობა - წაბლი (*Castanea sativa*), რომელიც ტერიტორიაზე გვხვდება ერთეული ინდივიდის სახით. დოკუმენტის მიხედვით, ფუჭი ქანების სანაყაროსა და ნაპირსამაგრი ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე დაგეგმილია 28 ძირი ხის მოჭრა, თუმცა, წაბლის გარემოდან ამოღება გათვალისწინებული არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურში, შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“ ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო